.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 5 ივლისის
№289 დადგენილება

სტუ-ს მოქმედი სპორტსმენებისა
და სახელოვნობო წრეებიის მონაწილე
სტუდენტების ინდივიდუალურ
საგანმანათლებლო პროგრამაზე
(სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე)
გადაყვანის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 და 43-ე მუხლების საფუძველზე, არსებული წესის თანახმად, ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე (სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე) შესაძლებელია გადაყვანილ იქნენ შემდეგი კატეგორიის მოქმედი სპორტსმენები და სახელოვნებო წრეებიის მონაწილე სტუდენტები:
   ა. ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო, ევროპის ჩემპიონატების და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებების, აგრეთვე საქართველოს ჩემპიონატების და საქართველოს უნივერსიადის მონაწილეები;
   ბ. საქართველოს, სტუ-ს ნაკრებებისა და მოქმედი სპორტული გუნდების წევრები;
   გ. სტუ-ს შემოქმედებით და სახელოვნებო წრეებში (თეატრი, კაპელა, ქორეოგრაფიული ანსამბლი, კვარტეტი და ა.შ.) გაერთიანებული სტუდენტები;
   დ. ცნობილი მომღერლები, მსახიობები და კულტურის სფეროში აქტიურად მოღვაწე სხვა სტუდენტები.

2. სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილებამ წარადგინოს რექტორთან შესაბამისი მოტივირებული შუამდგომლობა ბრძანების გამოსაცემად;

3. ფაკულტეტების დეკანებმა, სწავლების დეპარტამენტთან შეთანხმებით, უზრუნველყონ ინდივიდუალურ გრაფიკზე გადაყვანილი სტუდენტების მეცადინეობათა გრაფიკის შედგენა და მათი ჩატარება.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	ა. ფრანგიშვილი
აკადემიური საბჭოს მდივანი	გ. სალუქვაძე